# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 248 შაბათი, 7 ნოემბერი 1909 წ. № 248

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღამის საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი წერილების მიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



კვირას, 8 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილ მოსკოვის უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტის

**ბორის ალექსის ძის კალპაკოვის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უბედურებით გულ-ნატკენნი დედა განსვენებულისა **ევა დიმიტრის ასული კალპაკოვისა** და ბებია **სოფიო ალნიაძისა.**
წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი 12 საათზე. (1—535—1)

ხვალ, კვირას 8 ნოემბერს, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

**მიშა თორაქიშვილის**

გარდაცვალების წლის თავზე, შუადღის 12 ს. გადახდილი იქნება პანაშვიდი ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **დავით ილარიონის ძე, თინათინა გიორგის ასული თორაქიშვილები** შვილებითურთ და **ელისაბედ ყარამანის ასული კნეინა ვაჩნაძისა.** (2—536—1)

კვირას, 12 ნოემბერს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და მერე პანაშვიდი

**მიხეილ კიკნაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ განსვენებულის მშობლები **ანასტასია დავითის ასული** და **დავით გიორგის ძე**, ძმები **ივანე** და **ნიკოლოზ დავითის ძენი კიკნაძენი**, და და სიძე **ნატალია დავითის ასული** და **პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილები** და რძალი **სოფიო არტემის ასული კიკნაძე.** (2—უ.—1)

**სოფრომ ზაქარიას ძე მკალობლიშვილი** და მეუღლე მისი **ნინო თევდორეს ასული შვილებით** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ნოემბრის—8, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად უდროოდ გარდაცვალებულის შვილის

**ლევან (ლეო) მკალობლიშვილისა.**

წირვა დაიწყება 10 ს. კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში, პანაშვიდი 12 საათ. საფლავზე. (2—ნ.—1)

**ბესარიონ კონსტანტინეს ძე ლომინაძე** და მეუღლე მისი **დესპინე სიმონის ასული ლომინაძისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა წლის 8 ნოემბერს, კვირას, ქ. ქუთაისში ვაჟთა გიმნაზიის ეკლესიაში გადახდილი იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის საყვარელ მათის შვილის

**კოწიას**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. (2—კვ.—2)

**წარმოდგენა № 14. ქართული თეატრი წარმოდგენა № 14.**

**იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა.**

კვირას, 8 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორე ჯერ ახალი პიესა ჰეერმანსისა:

I

**იმედის დაღუპვა**

დრამა 1 მოქმედებად თარგ. დ. მესხისა.

II

პირველად ახალი კომედია

**„მოფურჩხულია"**

1 მოქმედებად, დ, მესხისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, ძ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; პ. შოთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. მგალობლიშვილი, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე. შ. საფაროვი და ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 7 მ.-დან 3 მ.-მდე; პარტერი 1 მ. 50 კ.-დან 50 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „ახალი მოძღვრება", „პარტიის კაცი"?! „სამეგრელოს მთავარი ლევან".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**
**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**გაზეთ** „მომავალის" 1 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ **ილარიონ ა—ძე საბახტარიშვილის** განცხადებისა გამო კიდევ ერთხელ და საბოლოოდ **იძულებული** ვარ ვაუწყო საზოგადოებას, რომ ჩემი **განცხადება** სუმბათოვის ქარხნის შესახებ **არც „შეთხუზული" ყოფილა და არც „ვაჭრული"** ვინაიდან ქარხნის გადაწვის შემდეგ შეკითხვა მივიღე, როგორც სიტყვიერი ისე წერილობით ქვევით მოყვანილ დაწესებულებათაგან და პირთაგან:

1) **ვოლგა-კამის ბანკის ტფილისის განყოფილების გამგისაგან.**
2) **ამიერ-კავკასიის სახაზინო რკინის გზის გამგეობისაგან.**
3) **ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორისაგან.**
4) **დამზღვევი საზოგადოების „როსსია"-ს ტფილისის განყოფილების გამგის თანაშემწისაგან.**
5) **ჩემი მსხვილი კლიენტების ხ. ი. ისაკოვისაგან და ძმ. ჩახმახჩევისაგან.**
6) **აგრეთვე ქ. ქ. ერევნის, ალექსანდროპოლის და ყარსის კლიენტებისაგან.**

თუ ნებავს ილარიონ საბახტარიშვილს პირადათ შეეკითხოს მათ, თორემ ჭორების შეთხზვა და მისი გაზეთის საშუალებით გავრცელება არ არის საკადრისი ცოტა ოდნივ პატიოსნების მქონე ადამიანისა, რომელთანაც, საუბედუროთ, მას არავითარი კავშირი არა აქვს. გულწრფელათ ურჩევთ მას თავი დაანებოს ამგვარ კადნიერებას და საქმეს ეწიოს, უკეთესი იქნება.

**გიორგი ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილი.** (1—537—1)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—45)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. სათასურით. (100—ნ.—32).

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1/2}$ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—199)

**გამგეობა**

**ტფილისის სათავ.-აზ. საად.-მამულო ბანკისა**

ამით აცხადებს, რომ

**რუსული ორთქლის აბანო**

(აბრევისეული) რიყის ქუჩა, საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ

**იძლევა იჯარით და იყიდება**

(5—გაყ.—3)

**სამკურნალო**

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—53)

**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს: ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—23)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშნი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—37)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—41)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—100)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—55)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ზუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—97)

**ტფილისის სობრანიე**

შაბათს, 7 ნოემბერს, 1909 წ.

**საოჯახო საღამო**

საღამოზე დაუკრავს საზანდარი.
**ანონსი:** შემდეგი საოჯახო საღამო სამშაბათს, 10 ნოემბერს. (1—536—1)

**გაზეთ „დროების" რედაქციის**

**—◀ კანტორაში ▶—**

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზე:

**„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით"**

**დაახლოვებით 250—300 ცვ.**

ხელის მომწერთათვის ფასი **60 კ.**

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.** (10—1)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—289)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—42)


„დროების" ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „უკვდავების ხე" (ლეგენდა-ზღაპარი), ივ—ლისა; სურათები: შესანიშნავი გერმანელი დრამატურგი ფრ. შილლერი; სპარსეთის ცხოვრება (სპარსული სკოლა); ჰაეროპლანების გაჯიბრება ოაგანისტალში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ბლერიო, რაიტი, ლატამი და სხვანი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ეგზეკუცია და მამასახლისის თანაშემწენი.** ნამესტნიკის ბრძანებით, მოხსნეს ყაზახთა ეგზეკუცია ბორჯომის ხეობის შემდეგ სოფლებში: ცაგვერში, კიმოთეს-უბანში, მზეთამეში, ცემსა და დაბაში. სამაგიეროდ როგორც ამ სოფლებში ისე ახალდაბასა, ნეძვსა, ჩოჩორაკსა, ყვიბისსა და ბერის-საყდარში დანიშნეს მთავრობის მამასახლისის თანაშემწენი. ეს თანაშემწენი მამასახლისისა ექვსი თვის ვადით არიან დანიშნულნი. ჯამაგირი ამათ სოფლებმა უნდა აძლიონ. აქნამდე ნიშნავდნენ მთავრობის მამასახლისებს. თუ არა ვცდებით, ეს პირველი მაგალითი უნდა იყოს თანაშემწეების დანიშვნისა.

✦ **გერმანელები ქართლში.** გუშინ ვწერდით გერმანელების შესახებ, რომელნიც ქართლში, ქსანსა და მუხრანს შუა, თავ. მუხრანსკის მამულზე აპირებენ დასახლებას. როგორც გავიგეთ, გერმანელებს, უკვე შეუძენიათ თავ. მუხრანსკისაგან 500 მდე დესეტინა სახნავი, საძოვარი, სათიბი და სამოსახლო ადგილი. ამ დღეებში უკვე ჩასულა ურმებითა და ფურგუნებით 40 კომლი გერმანელი. სახლების აგებამდე დროებით გერმანელებმა დაიქირავეს ადგილობრივ მცხოვრებთა სახლები.

✦ **ტფ. ქალთა უმაღლესი კურსები.** ტფ. ქალთა უმაღლესი კურსების დამაარსებლებმა გუშინ, 6 ნოემბერს განცხადება შეიტანეს ტფ. ქალაქის გამგეობაში. დამაარსებელნი სწერენ: როდესაც უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას შეუდგით, გვეგონა, კურსებზე 100—120 მოსწავლე ჩაეწერებოდა და ამ რიცხვის მიხედვით შევადგინეთ ხარჯთაღრიცხვა. მაგრამ ეხლა კურსებზე 215 მოსწავლეა და ამ გარემოებამ გამოიწვია კაბინეტისა და ლაბორატორიის გაფართოვება, ბიბლიოთეკისათვის მეტ წიგნების გამოწერა და სხვა, რასაც ბლომად ფული სჭირდება. გარდა ამისა, კურსების დამაარსებელთ განზრახვა აქვთ ახლო მომავალში სამი პროფესორის მოწვევა და საზოგადოდ, ამ უმაღლეს სასწავლებლის საქმეთა ჯეროვანად გაუმჯობესება. რადგან ყველა ამისთვის საჭიროა დიდი ფული, კურსების მეთაურნი სთხოვენ ტფ. ქალაქის გამგეობას დაეხმაროს კურსებს წელიწადში 5000 მანეთის გადადებით.

✦ **დავა ქალაქსა და თამამშევებს შორის.** ათი წელიწადი იქნება, რაც ქალაქსა და თამამშევებს შორის დავაა. ერევნის მოედანზე თამამშევის ქარვასლას სარდაფის გარშემო, როგორც ვიცით, შემოვლებული აქვს კედელი. ქალაქის თვითმართველობამ როგორც ქვაფენილი, ისე ეს ადგილი ქარვასლის გარშემო, ქალაქის საკუთრებად ალიარა. თამამშევებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და ქარვასლას შენობებიც კი მოადგეს შტაბის მხრიდან. ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა გუშინ, 6 ნოემბერს. სასამართლოში ქალაქის ინტერესებს იცავდა იურის-კონსულტი ათაბეგოვი, ხოლო თამამშევებისას—ბ-ნი საყვარელიძე. ოლქის სასამართლომ განაჩენის გამოცხადება გადასდო 16 ნოემბრისათვის.

✦ **სხდომა.** დღეს, 7 ნოემბერს საღამოთი სხდომა ექნებათ ქართულ წარმოდგენების სექციის წევრებს. საჩქაროდ სხდომის მოწვევა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქალაქის გამგეობამ აღარც სექციას და აღარც წრეს არ დაუთმო ის დღე, რომელიც ქ. დრამატ. საზოგადოების გამგეობას აქვს დათმობილი.

✦ **ერობის შესახებ მასალის დაბეჭდვა.** ერობის შესახებ ტფ. საგუბერნიო ბიურო ამ ჟამად აბეჭდინებს იმ მოხსენებებს, რომელიც საგუბერნიო საერობო სათათბირომ განიხილა. იბეჭდება აგრეთვე ოქმები და დადგენილებანი. მთელი ეს მასალა დამზადებული იქნება ამ თვის ბოლო რიცხვებისათვის და დეკემბერში გუბერნატორის მოხსენებასთან ერთად წარედგინება კავკასიის ნამესტნიკს.

✦ **მეორე ლიანდაგი.** აზრადა აქვთ, მეორე ლიანდაგი გაიყვანონ ტფილისიდან ალექსანდროპოლამდე. რკინის გზამ უკვე გაგზავნა ტეხნიკოსები კვლევა-ძიებისთვის.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწის ჩამოსვლა.** ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში სენატორი ვატაცი უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

✦ **ჩამოხრჩობის ნაცვლად კატორღა.** როგორც ვწერდით, ცარცვა-გლეჯისთვის 8 ივლის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს გიორგი აბულაძეს, რომან მეთოდიშვილს, მიხეილ მაჩიძეს, ალექსანდრე გოტიშვილს, აბრამ ძმემოკაშვილს და სოლომონ ბახუთაშვილს. ამათ ნამესტნიკმა ჩამოხრჩობა უვადო კატორღად შეუცვალა. უვადო კატორღად შეეცვალათ ჩამოხრჩობა აგრეთვე კარაპეტ პაპინოვს და გიორგი გრატიაშვილს. ჩამოხრჩობის ნაცვლად ხუთი წლის კატორღა მიუსაჯეს პაპკენ ტატოსიანცს, ოთხი წლის კატორღა ოჰანეზ მელიქ-ტატოსიანცს და ექვსი წლის კატორღა იაგორ თეიმურაზოვს. სვიმონ ახალაძეს ჩამოხრჩობის ნაცვლად მიუსაჯეს ერთი წლის გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

✦ 5 ნოემბერს დანიშნული სხდომა წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობისა არ შესდგა გამგეობის წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო.

✦ 4 ნოემბერს სადამოთი ოლგის ქუჩის ბოლოში მედროგეს სიმონ ალავერდოვს შეხვედრიან ჯარში ახლად გაწვეული 15 კაცი. ესენი შემთხვევით შემსხდარან დროგზე, ცხენზე და გასდგომიან გზას. როდესაც ალავერდოვს წინააღმდეგობა გაუწევია, ცემა დაუწყიათ. ალავერდოვს პოლიციელი წაშველებია, უმაწვილები აქეთ-იქით გაქცეულან. ოთხს პოლიციელი გამოსდევნებია და რადგანაც ისინი არ გაჩერებულან თოფიც უსროლია. ამ უწესობისა გამო იმავე დღეს პოლიციამ დააპატიმრა საბურთალოზე ვლადიმერ ხოსიტაშვილი, იოსებ ხოსიტაშვილი და სიმონ წამალაშვილი, ილია კოლოტაური, გიორგი თეთრაშვილი, პეტრეს ოჯანეზოვი, ზაქარია მერაბაშვილი, გიორგი ბარაზაშვილი, ტატო ხუხუნია და სიკო სოლოღაშვილი.

✦ 5 ნოემბერს დილის 7 საათზე, ავჭალის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ვიქტორ ფრუიძის სახლს. როგორც გამოირკვა, ერთის კვირის წინად რუიძეს მობინადრეები დაუთხოვნია, სახლი უნდა შევაკეთოვო. რამდენსამე ოთახში ნახეს ნავთ გადასახმელი ფიცრები. ყოველივე ამან დაბადა ეჭვი განზრახვ გადიწვისა. ახვლის პატრონი ფრუიძე ქუთაისში წასულა, ხოლო სახლის გამგედ დაუტოვებია მეეზოვე დიმიტრი ჩიტაშვილი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს და დააპატიმრეს, ცეცხლი მალე ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი ცეცხლისაგან 500 მანეთამდეა.

✦ დღეს, 7 ნოემბერს საღამოს 8 საათისთვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა „ახალ კლუბის" მამასახლისთა საბჭოსი.

✦ ფუნიკულერის სადგურიდან ძალზე დამთვრალი სტეფანე მამულოვი (52 წლისა) წამოსულა ქალაქში 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე. მამულოვი ბილიკს აცდენია, ხრამში გადავარდნილა: ძალზე დაშავებული მამულოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

# ტფილისი, 6 ნოემბერი

ჩვენს გაზეთში იბეჭდება „ბატუმსკაია იზვესტიის“ რედაქტორ-გამომცემელის ბ-ნ ვ. ბერეჟიანის წერილები. ვ. ბერეჟიანი კისრულობს ბათუმის გაზეთის ვექილობას და თავსაც იმართლებს იმაში, რომ იგი პასუხის-მგებელი არ არის იმ უთანხმოების ჩამოგდებაში, რომელსაც ხსენებულმა გაზეთმა ხელი შეუწყო და ერთი ერთმანეთს გადაამტერა ბათომის ქართველ საზოგადოების წევრნი.

საბოლოოდ ჩვენს აზრს ბათომის საქმეების შესახებ შემდეგ გამოვსთქვამთ. ეხლა კი გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ბ-ნ ბერეჟიანის და იმის რედაქტორობის გამო.

ვ. ბერეჟიანი თავის თავს არაფერში დამნაშავედ არა სთვლის. ჩვენ კი გვგონია, რომ მისი დანაშაულობა აშკარაა. და ეს დანაშაულობა თვით მის მიერ დაწერილი წერილიდანაცა სჩანს. ბ-ნი ვ. ბერეჟიანი ნომინალური რედაქტორი იყო „ბატუმსკაია იზვესტიებისა“. ფაქტიურად სარედაქციო საქმეებს ერთი პატარა ჯგუფი უძღვებოდა. ბათომში ყველამ იცოდა ეს. ძალიან კარგი. ამგვარი მდგომარეობა შესაწყნარებელია იმ შემთხვევაში, როდესაც რედაქტორს, რომელიც განზეა, სრული ნდობა აქვს რედაქციის თანამშრომლებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი აუცილებელია. ბ-ნ ვას. ბერეჟიანს დასაწყისში სრული ნდობა ჰქონია თანამშრომლებისა, რადგან „გაზეთს აშკარად ჰქონდა გამორკვეული თავისი მიმართულებაო“, როგორც თვითონვე გვეუბნება თავის წერილში. მაგრამ გარემოება იცვლება. გაზეთი იკეტება. თანამშრომლები აქეთ-იქით გაგზავნ-გამოგზავნეს. გაზეთის გამოცემაზე ხელს მაინც არ იღებენ. დამშეულმა სტამბის მუშებმა ხელმეორედ ვას. ბერეჟიანს სთხოვეს ეკისრა მას პასუხისმგებლობა გაზეთის გამოცემაში. ვ. ბერეჟიანი თანხმაა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, „უთანამშრომლოდ და უხელმძღვანელოდ გაზეთის გამოცემა მოუხერხებელი იყოო“. თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა საქმეს სტუდენტი ნიკოლი კისრულობს და გაზეთი ავად თუ კარგად მაინც გამოდის. და ამ დროს აი რა მოხდა. ვალაპარაკოთ თვით ბ-ნი ვ. ბერეჟიანი. „წორეთ იმ დროს,— ამბობს იგი,—როცა ადგილობრივი გაზეთი ბათომის მიტოვებულ ქართულ ეკლესიას წარმოადგენდა უსახსრობისა გამო, **შიგ შევიდა სრულიად თავისუფლად** (ხაზი ჩვენია) **ვიღაც ალიბეი, რომლის ვინაობა დღესაც არავინ იცის. მის რედაქციაში დაბუდრებასთან მოჰყვა ყოველივე ის არევდარევა, რომლის შესახებაც ეხლა ამდენი ლაპარაკი და მითქმამოთქმაო** „დაუფიქრდით ამ გარემოებას. ბ-ნ. ვას. ბერეჟიანი გაზეთის პასუხის მგებლობას კისრულობს, გაზეთს კი თანამშრომელი არა ჰყავს. იგი „დამშეულ მუშების“ თხოვნას ასრულებს. ვთქვათ, ეს საკმაო გასამართლებელი საბუთია, თუმცა პრესის დანიშნულება არ უნდა იყოს დაკავშირებული ჰამა-სმის საკითხთან. მაგრამ ვთქვათ ყოველივე ეს შესაწყნარებელია. მაგრამ აი ამ უპატრონო გაზეთში „სრულიად თავისუფლად შედის ვიღაც ალიბეი, რომლის ვინაობა დღესაც არავინ იცის“ და ამ კაცის შესვლისთანავე რედაქციაში, ყოველივე აირევ-დაირია.

ვინ არის ეს ალიბეი, ბ-ნო ვ. ბერეჟიანო. ამ ადამიანის შესახებ თქვენვე აცხადებთ ეჭვებს, ხოლო თქვენვე განაგრძობთ „ოფიციალურ“ რედაქტორობას საეჭვო კაცის თანამშრომლობით. გარდა ამისა, ჩვენ აქ ტფილისში რა ვიცით, რომ თქვენ ფიქტიური რედაქტორი ხართ და არა ნამდვილი და ამ „თქვენი“ ალიბეის შესახებ კი ცუდი ხმები დადიოდა არა თუ ბათომში, აქ ტფილისშიაც. და აი ქართველი საზოგადოება იმ თავითვე აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ თქვენ და თქვენი ამხანაგები „ვიღაცა ალიბეის“ ხელში იარაღად გახდით და არასასიამოვნო საქმეს ემსახურებოდით. ამას თქვენ თვითონვე ამბობთ. ბ-ნი ალიბეი მოხერხებული კაცი გამოდგა. ლიბერალობაც დაიწყო და გაზეთი დააკეტვინა. მაგრამ ალიბეი თუმცა ლიბერალი და რადიკალია, „სფერეფში“ გავლენას მოკლებული არ არის. გაზეთის ხელმეორედ გამოსვლის შესახებ ზრუნვა მან იკისრა, „იხსნა“ კიდევაც გაზეთი. მაგრამ ამით პატრონობაც მან იკისრა. მეც წინააღმდეგი აღარ გამხდარვარ, ამბობთ თქვენ, ვინაიდან ჩემთვის საკმარისი იყო ის გარემოება, რომ ალიბეისთან ერთად მუშაობდა ძველი თანამშრომელი გაზეთისა სტუდენტი ნიკოლიო“.

ყველაფერში, რასაც გაბრალებენ, ცამდე მართალი იყავით, ხოლო ამ უცნაურ გარემოებას რომ ჩაუკვირდეთ, თქვენ თვითონ დაგვეთანხმებით, რომ ღრმადა ხართ დამნაშავე საზოგადოების წინაშე როგორ! ვიღაც ალიბეი ეპატრონება გაზეთს. გაზეთის საშუალებით საზოგადოებას აღშფოთებს. თქვენც იცით, რომ ეს კაცი საეჭვოა და თავს იმით ინუგეშებთ, რომ საეჭვო კაცი თქვენ მიერ ცნობილ სტუდენტ ნიკოლთან ერთად მუშაობს. ნეტავი სტუდენტი ნიკოლი კი რითი იმშვიდებდა გულს? მაგრამ საქმე მაინც იქამდე მივიდა, რომ თქვენვე ჰგრძნობდით მის უხერხულობას. ხოლო „ალიბეის დათხოვნა არც ისეთი ადვილი საქმე იყო, რადგან **ჯერ ერთი**—ალიბეის წასვლის შემდეგ გაზეთს პატრონი ეკარგებოდა, მეორე კიდევ—ალიბეის კავშირი ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებთან მეტად მძლავრი შეიქმნა, რადგან თვითონაც მაჰმადიანი იყოო“.

როგორ მოგწონთ ეს „ჯერ ერთი“? რედაქციაში საეჭვო პირი შეპარულა. ამ პირს იწყნარებენ იმ მოსაზრებით, რომ თანამშრომელი ესაჭიროებოდაო! ან როგორ მოგწონთ ეს „მეორე კიდევ“? საეჭვო კაცი უახლოვდება ქართველ-მაჰმადიანთა იმ ნაწილს, რომელსაც „სფერეზში“ დიდი პატივი აქვს მოპოვებული. ეს ჯვარ-მედლიანი ნაწილი შეუგნებელი მსხვერპლია ვერაგულ პოლიტიკისა. ალიბეი ამათში ტრიალებს, მათ სახლებშიაც არის მიღებული და თანაც თქვენი გაზეთის თანამშრომელია და თქვენ კი მხოლოდ იმას ამბობთ, რომ ალიბეი მაჰმადიანი იყო და ქართველ-მაჰმადიანებში მას დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული. თქვენც კარგად იცოდით, თუ რა ხასიათისა იყო ეს „გავლენა“ და მაჰმადიანთა რომელ წრეებში ჰქონდა ამ „გავლენას“ გასავალი. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც რედაქტორი იყავით იმ გაზეთისა, სადაც ასეთი ბინძური გვამი ტრიალებდა. ფიქტიური რედაქტორი იყავით, თუ მართალი, თქვენ ქართველ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი ხართ, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობდით ბათუმში იმ საზიზღარ მოვლენის აღმოცენას, რომლითაც ასე დაავადმყოფებულია დღეს მთელი რუსეთი და ჩვენი მხარეც...

ბ-ნ ვას. ბერეჟიანს ჩვენ პატიოსან ადამიანად ვიცნობდით, თანამოაზრეთ ვთვლიდით და არასოდეს არ მოვიფიქრებდით, რომ იგი გაებმებოდა ამ საშინელ უპრინციპობის ჰაობში.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რა ეჭირვება კავკასიას“? ამ სათაურით გაზეთ „სვეტი“-ს №-269 ნომერში დაბეჭდილია ახლად არჩეულ სახელმწიფო საბჭოს წევრის თავ. ანდრია ერისთავის ბაასი გაზეთის კორესპონდენტთან. თავ. ერისთავს უთქვამს:

ჩემის აზრით, ყველაზე უფრო საჭიროა დაკანონებულ იქმნეს, რომ მებატონეთაგან გამოისყიდოს მთავრობამ ის ადგილები, რომელნიც გლეხთა სარგებლობაშია და ეს ადგილები საკუთრებად მიეცეთ გლეხებს. ეს წესი უნდა შეეხოს არა მარტო დროებით ვალდებულ გლეხებს, არამედ ხიზნებსაც. გლეხთა მდგომარეობა უნდა მოწეს-რიგდეს, სხვას გარდა, იმიტომაც, რომ კავკასია, ეს ობოლი მარგალიტი სახელმწიფოისა, მხოლოდ მაშინ აღყვავდება, გაძლიერდება და გამდიდრდება, როცა ყოფა-ცხოვრება თითქმის 5 მილიონ სულისა, რომელიც მიწათ-მოქმედებას მისდევს, კარგად იქნება მოწყობილი. ეს კანონი აუცილებელია მთელის ამ მხრის კულტურულ და ეკონომიურ კეთილ-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება გლეხთა შინაურ მმართველობას, საჭიროა საგლეხო დაწესებულებებს ჩამოერთვათ ადმინისტრატიული ფუნქციები და ამ დაწესებულებებს მხოლოდ მარტო გლეხთა საქმეები ჩაებაროს. ჩემის აზრით, ერობა შემოღებულ უნდა იქმნას არა მარტო ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში, არამედ მთელ კავკასიაში. მე მომხრე ვარ ორ-ხარისხოვან საერობო დაწესებულებისა—სამაზროისა და საგუბერნიოსი. მცირე საერობო ერთეულის შემოღება ჩვენში თუმცა სასურველია, მაგრამ ძნელი ასასრულებელია ფინანსიურის მოსაზრების გამო.

მიწათ-მოქმედებისა და სამთა-მადნო მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებლად კავკასიაში უნდა დაარსდეს უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები: უნივერსიტეტი ან პოლიტეხნიკუმი სამთა-მადნო და სააგრონომიო განყოფილებით. აუცილებელია აგრეთვე პირველ-დაწყებითი სამეურნეო სკოლები. კავკასიას სჭირია აგრეთვე განსაკუთრებით ახალი რკინის გზები მრეწველობისა და ვაჭრობის ასაყვავებლად. ზოგიერთ შტოს სტრატეგიული მნიშვნელობაც ექნება. ვაჭრობისა და მრეწველობის განსავითარებლად საჭიროა წვრილ კრედიტის განვითარება, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა დაარსება და სამაგალითო კულტურულ-სამრეწველო სადგურების მოწყობა. ეს არის ჩვენი იმედები, ჩვენი ოცნება და სურვილები. უმთავრესად აუცილებელია მათი დაკანონება და ცხოვრებაში განხორციელება.

არ ვიცი, რამდენად მივაღწევ ჩემს მიზანს, მაგრამ მთელს ჩემს ძალასა და ღონეს კი მოვახმარებ ამ სასარგებლო საქმეს.

ესა ყოფილა მოქმედების პროგრამა სახელმწიფო საბჭოს ახალ წევრისა. საერობო საკითხში, როგორც ხედავთ, თავ. ერისთავი ემხრობა იმ ჯგუფს, რომელსაც ტფ საგუბერნიო საერობო სათათბიროში მეთაურობდა ბ-ნი გ. გვაზავა. თავ. ერისთავი არას ამბობს არც გადმოსახლების საკითხზე, არც საეკლესიო საკითხზე, არც დედა-ენის უფლებებზე სკოლებში და არც მრავალ სხვა რამეზე. აშკარაა, ყველა ამაზე და საზოგადოდ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც დღეს მთავრობა ჩვენში აწარმოებს, თავ. ერისთავი ხმის ამოღებას არ აპირებს.

* * *

გუშინდელ „ნოვაია რეჩ“-ში დაბეჭდილია ღია წერილი ქართულ დრამატიულ საზოგადოების ერთი წევრისა „ტიფ. ლისტოკის“ პატრონის ბ-ნ ქრისტეფორე ხაჩატუროვის მიმართ. როგორც ამ წერილიდან სჩანს, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას „ტიფ. ლისტ.“-სთვის გაუგზავნია სარეცენზენტო ბილეთი ქართულ წარმოდგენებზე. რედაქციას ბილეთი უკანვე დაუბრუნებია და თანაც, თუ ბილეთის მიმტანს დაუჯერებთ, უთქვამთ—„ჩვენ არა გვსურთ რაიმე საერთო ვიქონიოთ თქვენ თეატრთანაო“. ღია წერილის ავტორი ეკითხება ბ-ნ ხაჩატუროვს, გვაცნობეთ მიზეზი ქართულ წარმოდგენების ამგვარ ბოიკოტისაო. შეკითხვა მართლაც საინტერესოა. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიხსენიოთ, რომ „ტიფ. ლისტ.“-ს რედაქტორად ამ ჟამად გამოცხადებულია გაზეთში ივანე გრიგორის ძე ხაჩატუროვი, რომელიც ცნობილ ინციდენტის შემდეგ ტფილისიდან წავიდა.

საინტერესოა, რომ ქართულ წარმოდგენებს წელს ბოიკოტი „ტიფ. ლისტ“-თან ერთად გაზეთმა „ზაკავკაზიე“-მაც გამოუცხადა. ამ გაზეთშიაც არაფერი იბეჭდება ქართულ წარმოდგენების შესახებ. მიზეზი, როგორც დრამ. საზოგ. გამგეობის წევრებმა გადმოგვცეს, ისა ყოფილა, რომ გამგეობას გაზეთისთვის ერთი ბილეთი გაუგზავნია, რედაქციას კი სამი მოუთხოვნია, როგორც ქართულ გაზეთებს ეძლევათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართული გაზეთები წარმოდგენის განცხადებებს უსასყიდლოდ ბეჭდავენ, ხოლო „ზაკავკაზიე“ ფულს იღებს.

ბოიკოტი ორი მხრიდან. სწორედ ცუდ ვარსკვლავზე დაიბადა წლევანდელი სეზონი ქართულ თეატრისა...

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან
6 ნოემბერი.

### ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა

**ჰელსინგფორსი**. უმაღლესის ბრძანებით დაითხოვეს ფინლიანდიის სეიმი. ახალი არჩევნები დანიშნულია პირველ თებერვლისთვის. ახლად არჩეული სეიმი მუშაობას დაიწყებს პირველ მარტს (ახალის სტილით).

**პეტერბურგი** (ოფიციალური). უმაღლესი გრამატა ფინლიანდიის სეიმის დათხოვნის შესახებ: „წყალო-

# კავკასიის ერთობა!? *)

3. **)

კავკასიაში სხვა და სხვა სოციალური ჯგუფებია, რომელთა ისტორიული და სოციალური განვითარება ერთი და იგივე არ არის. პირიქით, დიდი განსხვავებაა ამ მხრით მათ შორის. აქ ვხედავთ რუსობის სხვა და სხვა ელემენტს: ყაზახობას, გლეხობას, რომელთა უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში სცხოვრობს, და როგორც წარმომადგენელნი გაბატონებულ ერისა გამორიცხულ უნდა იყვნენ კავკასიის ერთობიდან, რადგან კავკასიის ერთობა მათის თვალთა ხედვით **რუსობაა**, ე. ი. სრული მოსპობა კავკასიის ორიგინალობისა. აკი ამიტომაც გამოვრიცხეთ ჩრდილოეთის ნაწილი კავკასიისა კავკასიის ერთობიდან, რომელიც ჩვენი საკუთარის თვალთა ხედვით გვაინტერესებს და არა რუსულ სახელმწიფო იდეის თვალთა-ხედვით. აქ არიან როგორც ვთქვით, ისეთი სოციალური ჯგუფები, რომელთათვისაც ერის, ისტორიულ ერის სახელწოდებაც კი შეუძლებელია. აქ არიან ქართველები და სომხები, რომელთაც ხანგრძლივი **ეროვნული** ისტორია და კულტურა აქვთ. არიან ბოლოს თათრები, რომელთა ნამდვილი ეროვნული ისტორია შეიძლება ახლა იწყებოდეს კავკასიის ტერიტორიაზე. ასეთის **განსხვავებულის** ელემენტებისაგან შესდგება ერთობ კავკასიის ხალხი და ამიტომ გვებადება ეჭვი მის არა თუ მომავალი ერთობაზე, არამედ ნამდვილ და მტკიცე სოლიდარობაზედაც, თორემ კავკასია რომ მხოლოდ სამი ერთისა და იმავე განვითარების **ხარისხის** სოციალურ ჯგუფისაგან, ანუ უკეთ ვთქვათ ეროვნულ ჯგუფისაგან შესდგებოდეს, როგორც ეს შვეიცარიაშია, და არა **მრავალ**, სრულიად განსხვავებულ ჯგუფისაგან, როგორც სიდიდითა, ისე განვითარების ხარისხითა,—მაშინ, რასაკვირველია, მათ შორის სოლიდარობა, კავშირი, კონფედერაცია, ან მათ მიერ ერთ ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნა —ყოველივე ეს ადვილად გადასაწყვეტი საკითხი იქნებოდა თეორიულად, შესაძლებლობისა და სურვილის მხრით მაინც. ეხლა კი ზემოხსენებულ მიზეზთა გამო ეს საკითხი ძლიერ რთულია; ყოველივე ზემოხსენებულს კიდევ ის ერთვის, რომ ბევრგან პირდაპირ ღომხალივით არის არეული ერთმანერთში სხვა და სხვა, ხანდახან ურთი-ერთის მოსისხლე და შეურიგებელი ელემენტები.

ჩამოვთვალოთ უმთავრესი საგანნი, რომელნიც ჰქმნიან ნამდვილ, ორგანიულ სოციალურ ერთობას და რომელთა არ-არსებობა ხელს უშლის თვით სოლიდარობასაც კი განუვითარებელ საზოგადოებათა შორის.

კავკასია აზიაა, და აზიაში, ხომ მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა და როლი აქვს სჯულსა, სარწმუნოებასა. ჯერ ევროპამ რამდენი იღვაწა და სისხლი დაჰღვარა, სანამ მისი ბრჭყალებიდან განთავისუფლდებოდა. რამდენი დრო გავიდა, სანამ ეროვნულ ერთობის იდეამ სძლია სარწმუნოების ერთობის იდეას. ჩვენში კი ამ მხრით ძლიერ ჩამორჩენილნი ვართ და სარწმუნოებრივი განსხვავება დიდს, უდიდესს როლსა თამაშობს. ამიერ-კავკასიაში სამი უმთავრესი სარწმუნოებაა, რომელთა შორის არც თუ ისეთი მეგობრული კავშირია, როგორიც ჩვენის ერთობისა და სოლიდარობისათვის არის სასურველი: მართლმადიდებლობა, სომეხ-გრიგორიანობა, და მუსულმანობა. ეხლა რაოდენობა*) აიღეთ ამ სარწმუნოების მმოსავთა.

| | |
|---|---|
| მართლმადიდებ. არის. | 1,732,561 სული. |
| სომეხ-გრიგორიანი. . | 1,206,155 „ |
| მუსულმანი (შიიტი და სუნიტი) | 2,741,776 „ |

დანარჩენ სარწმუნოების მმოსავთა რიცხვი დიდი არ არის, სულ ყველასი ერთად—171,155, თუმცა ამათაც უნდათ თავიანთი უფლებანი და გარანტია, როგორიც უნდა იყოს ფორმა კავკასიის მომავალ ორგანიზაციისა. თავი რომ დავანებოთ ყველაფერს,—ვსთქვათ, რომ შევძელით და კავკასიის მომავალი ორგანიზაცია იდეალურად მოვაწყვეთ, განვაშორეთ კიდეც ერთმანეთს სასულიერო და საერო საქმეები, მაინც საკითხია ჩვენთვის,—რა როლს ითამაშებს ეს რელიგიური განსხვავება და წინააღმდეგობა თვით ამ პოლიტიკურ ორგანიზმის შედგენის პროცესში, რომელ სოციალურ ერთეულს მიეკუთვნება სამცხე, აჭარა და ქართველ მუსულმანთა დანარჩენი პროვინციები—თათრებისას თუ საქართველოსას? დღეს, მართალია, მუდამ ვლაპარაკობთ ჩვენს ერთობაზე, მაგრამ როცა საქმე-საქმეზედ მიდგება,—სჯულის ერთობა რომ არჩიონ ამ პროვინციებმა ეროვნულ ერთობას? თათარი რომ არჩიონ იქვე მყოფ თავის მეზობელ გურულს? და ნურც ისე მცირე ჰგონია ვისმე რელიგიური განსხვავება. ხშირად მსმენია ხოლმე ჩვენში და შეიძლება წინად მეც მათი აზრისა ვიყავი, რა უყოთ მერე, ქართველები რომ მაჰმადიანები არიანო! ნეტავ ჩვენც ყველანი მაჰმადიანი ვიყოთო! რა ვუყოთ მერე, ამა თუ იმ პირმა მაჰმადიანობა რომ მიიღოსო. ის ვუყოთ, ჩვენის დაკვირვებით რამდენადაც ვიცით,— რომ ამ გამაჰმადიანებამ მოსწყვიტა უმეტესი ნაწილი საქართველოსი საქართველოს კულტურას და ეროვნულ ერთობას, წაჰგლიჯა ისინი ჩვენს ეროვნულს, ჩვენს სულიერ ერთობასა და დღეს ბაქოს ავშართანა და თვით ყაზანელ თათართან უფრო დიდს ერთობასა ჰგრძნობს მაჰმადიანი წმინდა სისხლის მესხი, ვიდრე ქართლელთან, გურულთან, იმერელთან. ის ვუყოთ, რომ ჩვენ რომ დღეს გავმაჰმადიანდეთ, ერთი საუკუნის შემდეგ, შეიძლება უფრო ადრეც, თათრისა ან ოსმალოს ეროვნებამ უნდა წაჰლეკოს ქართული ეროვნული თავისებურება საუკუნოდ და დაუბრუნებლად. თუ დღეს კიდევ არსებობს ოდნავ მაინც ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული სული, ქართველობა,—ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საქართველო კიდევ არსებობს. მათ ეს ძალიან კარგად იციან, ოდნავ მაინც ჰგრძნობენ, რომ ისინი ამ დიდ საქართველოს ნატეხნი, ყოფილნი შვილნი არიან, მეზობელთაგან კიდევ ესმით რამე საქართველოზე, ესმით ქართული ენა, რომელიც ჯერ თვითონაც არ დავიწყებიათ უმთავრესად ამავე მიზეზით. ის ვუყოთ, რომ პირადადაც რომ ვინმე ჩვენგანი გამაჰმადიანდება,— მარტო სჯულსა და რწმენას კი არ იცვლის, არამედ უარ-ჰყოფს მთელს თავის ორი ათასი წლის ისტორიას, თვით იმ ბრძოლის შინაარსს, რომელიც განიცადეს მათ მამა-პაპათა, და უერთდება სულიერად სრულიად მოწინააღმდეგე სოციალურ ორგანიზმსა. გამაჰმადიანება კათოლიკობიდან პროტესტანტობაში გადასვლა არ არის. გამაჰმადიანება იმავე დროს გათათრებასა, გასპარსელებასა, გაოსმალებასა ნიშნავს ჩვენთვის ჯერ ჯერობით და კიდევ დიდხანს ექნება ეს მნიშვნელობა.

ამგვარად თვით ერთი ერის ერთობისა, მაგალითად, ქართველთა ერთობის ხელის შემშლელია სჯულის სხვა-და-სხვაობა და წინააღმდეგობა, და რაღა უნდა იყოს იგი სხვა-და-სხვა ერთა, სხვა-და-სხვა პატარა ეთნიურ ჯგუფთა ერთობისათვის. მოიწვიეთ, მაგალითად, დამფუძნებელი კრება ყველა ზემოხსენებულ რელიგიურ ჯგუფებისათვის, — **მუსულმანები-კი კავკასიაში სწორედ სარწმუნოებას აღიარებენ ერთა კლასსიფიკაციის კრიტერიუმად,**— და გადააწყვეტინეთ მათ მომავალი დაყოფა კავკასიისა საფედერაციო კანტონებად, ან შტატებად. თუ თანასწორი რაოდენობა იქნება ყველა სჯულის წარმომადგენელთა ასეთ კრებაზე,—ეს მაინც ვერ იხსნის კრებას გაჭირებისაგან, რადგან რამდენიც უნდა იყოს მათი წარმომადგენელი, ერთხმად აღიარებენ სრულიად სხვანაირ ორგანიზაციას, ვიდრე დანარჩენი სარწმუნოებანი და არასოდეს არ დაემორჩილებიან უმეტესობას შეერთებულ სარწმუნოებათა. თუ პირდაპირისა და საყოველთაო კენჭის ყრით მოიწვიეთ კრება,—მაჰმადიანები უმეტესობით პირდაპირ გასრესენ ყველა დანარჩენ სარწმუნოებას. ამ მხრით, მაშასადამე, ფედერატიულ პრინციპსაც ვერ განახორციელებს წინდაწინ მოწვეული დამფუძნებელი კრება, რადგან იქნება ისეთი საკითხები, რომლებიც წინდაწინვე უნდა გადაწყდნენ, თორემ კრება მათ ვერ გადასწყვეტს ვერასოდეს. ჩვენთვის მაგალითად, უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ **საქართველო** მთლიანი პიროვნებით უნდა შევიდეს კავკასიის ფედერაციამ. ეს საკითხი მანამდის უნდა იქნას გადაწყვეტილი, სანამ დამფუძნებელი კრება მოიწვეოდეს; თუ კი ამ კრებას მიეცით ეს საკითხი გადასაწყვეტად, როგორც სჯულის განსხვავება ქართველთა შორის, ისე ბევრი სხვა მოსაზრება მეზობელ ერთა თავის დღეში არ აღიარებინებს არავის საქართველოს მთლიანობას, ქართველობა კი თავის დღეში არ დასთმობს ამ საკითხში ერთ იოტის ოდენსაც! ყველამ უწყის, რა კ გამოვა ასეთის წინააღმდეგობისაგან.

აიღეთ მეორე დიდი სოციალური მოვლენა, განმამტკიცებელი სოციალურ ერთობისა,—**ენა**. კავკასიაში რომ სამი უმთავრესი ენა იყოს, როგორც შვეიცარიაში, კიდევ არა უშავსრა. მაგრამ აქ უთვალავი ენაა. დღეს კიდევ ისეთი ხანაა, რომ ყოველ ენას აქვს სურვილი ლიტერატურის შექმნისა, განვითარებისა, აღორძინებისა. საუკუნეთა განმავლობაში რომ ანბანიც არა ჰქონდათ, დღესა ჰქმნიან საკუთარ ანბანსა და მწერლობას იწყებენ. თვით-მაჰმადიანებიც-კი მალე მიაქცევენ ყურადღებას ენის განსხვავებას და, შეიძლება ეს ქართველებისათვის იმ მხრით იყოს ხელსაყრელი, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა ენის მხრით მაინც იგრძნონ ერთობა ჩვენთან, მაგრამ როცა აღმოჩნდებიან მსურველნი ლეკურ ენისა, ჩაჩნურისა, ოსურისა და მრავალ სხვათა, მაშინ აღარავინ აღარ დასჯერდება სამი ენის—ქართულის, სომხურისა და თათრულის—ბატონობას და თუ დღეს ამ ნიადაგზე კულტურულ ავსტრიაშია ერთი აურ-ზაური, ადვილი წარმოსადგენია რაღა იქნება ჩვენში, შედარებით უკულტურო კავკასიაში, სადაც უფრო მეტად არიან არეულ-დარეულნი ენები და ეროვნებანი. აქაც, მაშასადამე, წინადვე მოწვეული დამფუძნებელი კრება ერთა და ენათა შესარიგებლად ვერას გახდება, თუ წინდაწინვე არ იქნა განსაზღვრული და არსებული ფაქტი დამოუკიდებლობა თითოეულ შესაკავშირებელ ერთეულისა.

იურიდიულ შეგნების ერთობა კიდევ ნაკლებად ახასიათებს კავკასიის

*) ამ წერილში გათქმულ ზოგიერთ აზრებს რედაქცია არ ეთანხმება. რედ.
**) იხ. „დროება“ N 242.

*) 1897 წლის აღწერითა.

მით ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ფინლიანდიის ყველა ერთგულ ქვეშევრდომს: ვბრძანეთ რა მოახდინონ სეიმის დეპუტატთა ახალი არჩევნები, საჭიროთ დავინახეთ დავითხოვოთ ამა წლის 5-18 ნოემბერს ეხლანდელი სეიმი 1906 წელს 7-20 ივლისს ჩვენ მიერ დამტკიცებულ სეიმის წესდების მე-18 მუხლის თანახმად, ახალი სეიმი უნდა შეკრიბოს 1910 წლის პირველ მარტს (ახალის სტილით). ამიტომ ყველა ის პირი, რომელიც არჩეულ იქნება სეიმის დეპუტატად, თავის მოვალეობის ასასრულებლად ზემოდ აღნიშნულ დროს უნდა გამოცხადდეს ჰელსინგფორსში".

უმაღლესი დადგენილება სეიმის დეპუტატთა არჩევნების შესახებ: ხელმწიფე-იმპერატორმა ლივადიაში ყოფნის დროს, 1909 წელს 4-17 ნოემბერს უმაღლესად ბრძანა: ფინლიანდიის დეპუტატთა არჩევნები, 6-20 ივლისის კანონის თანახმად, დაიწყოს პირველ თებერვალს (ახალი სტილით).

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** მეჯლისი იხილავს დეპუტატების არჩევნებს. მეჯლისის ამხანაგებად აირჩიეს: ხუსინდ-კულიხან ნავაბი და მუსტეშარ-უდ-დოულე. სამინისტრო გადადგა.

### საზღვარ-გარედ

**მიუნხენი.** ზედა პალატა. დეპუტატთა პალატის წინადადების განხილვის დროს, რომ მოვსპოთ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება ბოროტ-მოქმედთა გაცემის შესახებ, მომხსენებლად გამოვიდა მინისტრ-პრეზიდენტი ფონ-აუერი. ფონ-აუერი წინააღუდგა ამ წინადადებას, ეს საკითხი დეპუტატთა პალატის კომპეტენციას არ შეადგენს და ესეც რომ არ იყოს წინადადება უსაფუძვლოაო. მომხსენებელმა სთქვა: ეს 23 წელიწადია, რაც რუსეთთან ეს ხელშეკრულება დავსდეთ და ამ ხნის განმავლობაში რუსეთს ერთხელაც არ დაურღვევია ბავარიის უფლებები, პირიქით დიდის პატივისცემით ეკიდებოდა ბავარიის უფლებებსო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ ერთი ბოროტ მოქმედი—მკვლელი ვაჟეცითო. ამ ხელშეკრულებამ ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ამ ხელშეკრულებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ბავარია ანარქისტების და რევოლიუციონერების ბუდედ არ გადაიქცა. ტყუილია ის ხმა, ვითომ ლანდტაგს ამ წინადადებით დემონსტრაციის მოხდენა უნდოდა, რადგან განზრახული იყო, რომ რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი ბავარიაზედ გამოივლიდა. ტყუილია აგრეთვე უცხოეთის პრესსის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ლანდტაგს მიტომ უნდა რუსეთ-ბავარიის შორის ამ ხელშეკრულების მოსპობა, რომ მაშინ ბავარიაში შეძლება ექნებათ თავი შეაფარონ იმ პირთაც კი, რომლებიც ხელმწიფეს მკვლელობას განიზრახავენ. თვით ლანდტაგის დეპუტატების უმრავლესობამ უარჰყო ეს ხმაო. დასასრულ მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, იმედი მაქვს, რომ ჩემი განმარტება შეძლებას მოგცემთ სამართლიანი დადგენილება გამოიტანოთ და აღიაროთ, რომ ბავარიის მთავრობა კანონიერად იქცეოდა. პოდევილსის სიტყვის შემდეგ ზედა პალატამ ერთხმად უარჰყო დეპუტატთა პალატის წინადადება.

**ვენა.** ზედა პალატა. სიტყვა წარმოსთქვა მინისტრ-პრეზიდენტმა ბინერტმა. ბინერტი შეეხო შინაურ პოლიტიკას. მან სთქვა: სამინისტრო გადადგებოდა დარწმუნებული რომ იყოს, რომ მისი გადადგომით წესიერება დამყარდება. ტყუილია ის ხმა, ვითომ ეხლანდელი მთავრობა სლავიანების და პარლამენტის საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდეს, პირიქით მთავრობა სცდილობს პარლამენტი ნორმალურ პირობებში ჩააყენოს. საჭიროა, რომ პარლამენტის პარტიებმა ობსტრუქციებს თავი დაანებონ და შეუდგნენ ნაყოფიერ მუშაობას, რადგან თუ პარტიებმა თავიანთი ძალ-ღონე მარტო ეროვნულ ბრძოლას მოანდომეს, ეს სახელმწიფოს დიდი ზიანს და უბედურებას მიაყენებსო.

**ბუდაპეშტი.** იმპერატორმა მიიღო მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე. იმპერატორმა ვეკერლეს უბრძანა ჰუნგრეთის მინისტრები მომავალ კვირაში ვენაში უნდა შეიკრიბნენო. ჰუნგრეთის მინისტრების კრება იმპერატორის თავმჯდომარეობით მოხდება.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატა შეუდგა სამხედრო რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. პალატამ მიიღო სოციალ-დემოკრატების ფორმულა: „თვითეულმა ოჯახმა ერთი ჯარის-კაცი უნდა გამოიყვანოსო". პალატამ უარჰყო ლიბერალების წინადადება, ჯარში სამსახურის დრო ერთ წლამდე შევამციროთო.

### რ უ ს ე თ ი

**მოგილევი.** სოფელ ბორშჩოვკაში დააპატიმრეს ორი ბოროტგანმზრახველი. ბრალდებათ სოფელ კრუპტაში მღვდლების დახოცვა. დაპატიმრებულების ორი ამხანაგი გაიქცა. მათ პოლიციელები დაედევნენ. ბოროტგანმზრახველებმა პოლიციელებს სროლა აუტეხეს. პოლიციელებმა სროლითვე უპასუხეს. სროლა ორ საათს გაგრძელდა. პოლიციელებმა ბოროტგანმზრახველები დახოცეს. მოკლულებს უპოვეს მაუზერი, ბრაუნინგი, პატრონები, პარიკები და სხვა.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტი იმუშავებს კანონ-პროექტს, რომლითაც უნდა შეიცვალოს რკინის გზების ტეხნიკურ სასწავლებელთა პროგრამმა. განზრახულია ამ სასწავლებლის პროგრამმა დაუახლოვონ რკინის გზების მოთხოვნილებას.

**მოსკოვი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს, გამოიცეს კანონი, რომლითაც საყოველთაო სწავლება სავალდებულოდ უნდა აღიარდეს.

**ხარკოვი.** სამოსამართლო პალატის განკარგულებით სამართალში მისცეს ხარკოვის ნაფიც-ვექილთა საბჭო. ბრალდებათ, ნაფიც-ვექილთა საბჭომ სასამართლოს სხდომის დროს პალატის თავმჯდომარის საქციელი არ მოიწონაო.

**სმოლენსკი.** სოფელ ზაბოროვოში გადაიწვა 43 სახლი და წლევანდელი მოსავალი.

**ბლაგოვეშჩენსკი.** 4 ნოემბერს 7 შეიარაღებული ბოროტგანზრახველი თავს დაეცა საინტენდატოს მოხელეების ლისოვსკის და ბიბაევის სადგურს. ბოროტგანზრახველებმა აიძულეს მოხელეები დაეწერათ 17,000 მანეთის ჩეკი. ამის შემდეგ ბოროტგანზრახველებმა იატაკ ქვეშ ჩაჰყარეს 7 მოხელე, სახლის პატრონი—ქალი და 9 კაცი, გამოიტანეს სახელმწიფო ბანკიდან 17,000 მანეთი და მიიმალნენ.

**რიგა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ განიხილა 167 კაცის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელს რიგის რკინის გზაზე გაფიცვის მოხდენა. სასამართლომ გადაუწყვიტა: 61 სხვა და სხვა ვადით ციხე, 38 გაამართლა, დანარჩენი რვა კაცი სასამართლოში არ გამოცხადდა, იმალებიან.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 3, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 109 კაცი.

## ბიბლიოგრაფია

**(ი. კარგარეთელი. „ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები". ტფილისი. 1909 წ. ფასი ათი შაური).**

ჩვენი ქართული ეროვნული მუსიკა იმდენად მდიდარია და მომხიბვლელი კი ამ ასპარეზზედ იმდენად ნაკლებად სჩანან, რომ შეტანა ამგვარ დარგში რაიმე შრომისა განსაკუთრებულ სიამოვნებით აღსანიშნავია.

ამგვარ, თუმცა პატარას, მაგრამ სიმპატიურ შრომას ეკუთვნის ი. კარგარეთლის მიერ შემუშავებული და გამოცემული კრებული ქართულ სიმღერებისა (16 ლექსს შეიცავს იგი). ეჭვს გარეშეა, ზოგიერთ სიმღერის აღსრულება გუნდით იმ გვარად, როგორც ჩაწერილს ვხედავთ კრებულში, ყოვლად შეუძლებელია, რადგან „тесситура" ზოგგან ძალიან მაღალია, ხოლო ალაგ-ალაგ კი დაბალი, თუმცა ამ საკითხის არსებით (სამეცნიერო) მხატვრისთვის ეს ნაკლულევანება შეუმჩნეველია. მეორეს მხრით, ვწუხვართ, რომ ავტორს არ უზრუნვია წელიწადის აღნიშვნისთვის, თუ რა დროს არის ჩაწერილი ესა თუ ის სიმღერა. ვერ ვხედავთ აგრეთვე განმარტებას ზოგიერთ სიმღერისას (მაგალითად, არ არის აღნიშნული „მოჰკლეს ილია" ილია ჭავჭავაძის სიკვდილის გამო, თუ სხვა პირისა. ეს კი საჭიროა). ნაკლულევანებადვე უნდა ჩაითვალოს სიმღერების სარჩევის უქონლობაც.

საერთოდ კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზემოაღნიშნულ დეფექტებს, ეს გამოცემა უნდა ჩაითვალოს სასიამოვნო შრომად. გარეგნულ მხრივაც კარ შთაბეჭდილებას ახდენს.—სუფთად, კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და მასთან ფასითაც ყველასათვის ხელმისაწდომია. **დ. არაყიშვილი.**

---

**ქართული ხელნაწერი ლექსიკონი.** სხვა წიგნთა შორის, როგორც ამას წინად მოვიხსენიე „დროების" მე-243 ნომერში, თავ. ავალიშვილების ოჯახიდან წამოვიღე ხელნაწერი ლექსიკონი, რომელსაც როგორც თავი, ისე ბოლო მთელი აქვს და მხოლოდ ბოლოში ასო „ჸ"-ზე ნაწერი სიტყვები აღარა აქვს. ამ ასოთი ხომ ძალიან ცოტა სიტყვები იწყება. ეტყობა ყდა ჰქონია, ახლა ეხლა აღარა აქვს. მთელი ლექსიკონი შეიცავს 306 ფურცელს. სიტყვები დაწერილია წვრილად, შავის მელნით, ხოლო ყველა სიტყვის პირველი ასო წითელი მელნით არის ნაწერი. წითელი მელნითაა აგრეთვე ნაწერი ავტორის შენიშვნები, ნიშნების აღსნა-განმარტებანი და სათაურები ასოებისა.

პირველი გვერდი ლექსიკონისა ასე იწყება: „ან ბანნი სასწავლონი ქრმათა მიერ:." ამის ქვეშ სწერია ქართული ანბანნი ბოლომდე და შემდეგ კიდევ არის წარწერა: „პირველად ესრეთ ჯერ არს სწავლათა დაწყება:." მერე კიდევ ანბანი ასე: „ა—ან, ბ—ბან, გ—გან" დამრგვ ბოლომდის. მეორე გვერდზე თავში წაწერილია: „რიცხვი ქართულთა ანბანთა:." აქვე რიგზე სწერია: „ა—ერთი, ბ—ორი, გ—სამი" და ასე ბოლომდე, რომელიც თავდება ასე: „ჸ—ათი ათასი". მესამე გვერდზე აწერია: „ნულა და ქართული რიცხვი:. ვისცა სწავლა გენებოს:." მერე რიგზე კიდევ: „1—ა, 2—ბ, 3—გ, 4—დ" ბოლომდე. ბოლოს ასე თავდება: „1000—ჩ 10000—ჲ, 100000—რჩ, 100000—ჸჸ."

ამის შემდეგ სწერია:

ესე ნულა ყოველთა რიცხუთა და ანგარიშთა უმჯობეს არს და ყოველნი ქრისტიანენი ანუ ჰურიანი გინა წარმართნი ამათ მიერ რიცხვენ. ქართველთა მიკვირან რასთვის არა გარდმოუღიეს. ანუ წმ. მამათა მთარგმნელთა არა დახედნეს... ქართულისა ანბანითა სათვალავი თან დამისვამს ვისაც გენებოს საჭირო არა არის რა და ვისაც არ გენებოს ნებისა შენისად იყავ".

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს თუ რამდენი ასოა ქართულში, ებრაულში, ელლენთა, ლათინთა, არაბთა, ინდოთა, რუსთა, სომეხთა და სხვ. მერე სწერია:

ყოველთა ენათა ანბანთა შორის არის ხუთნი ხმიანნი ასონი. რომელთაგან გამოვლენ ხმანი სამუსიკონი, სამწყობრონი და საგალობელნი: და თვინიერ ხუთთა ამათ ასოთა არ არს ხმოანება, არცა მუსიკალობა.

ჩამოთვლილია ხმიანი ასოები და თანხმოვანი ანუ ორ-ხმოვანი ჳ, ჲ, ჰ, ჸ. მერე ჩამოთვლილია სიტყვათა დაბოლოება, ერთგვარობა და სხვ. მეოთხე ფურცლის ბოლოში მიწერილია: ანდერძ ამაგი მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა ორბელის ძის სულხან ყოფილის საბას მიერ აღწერილი მოსწავლეთათვის:. ხოლო მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მკიცხარ ექნებიან შრომისათვის და არა სარეწავად მისცემენ შენდობასა:.

აქედანა სჩანს, რომ ლექსიკონი შედგენილია საბა-სულხან ორბელიანის მიერ. ავტორი ჰგოდებს და ჩივის, რომ ეს ლექსიკონი დიდის წვალებით დამიწერიაო, ვინაიდან ქართული ლექსიკონი არსად აღარ იყო, ჟამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო და „ენა ქართველთა თვისთა ნებაზედ გაერყვნათ სხვისა ენათა ლექსიკონი ვნახე და მეც მათის ბაძით აღვსწერე რაოდენი ძალ მედვა".

მერე მოგვითხრობს, რომელი წყაროებით ისარგებლა: იხსენიებს წმ. მამათა ნაწერებს, სამღვთო წერილის წიგნებს, ფილოსოფ. პლატონს, არისტოტელის კატიღორიას, „ნემესიოსა და იოვანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევებსა" და სხვ. და თუ რამ დამაკლდა, შემდეგში ვინც იპოვოთ ახსნა, მუნვე მიაწერეთო. ეს არის გასაკვირველი, რომ აქ ერთ ალაგას ავტორი მოგვითხრობს: „ხოლო რაოდენი ძალ მედვა ვეცადე ელლენთა, ლათინთა, სპანიათა, სომხურთა და რუსთა წიგნებთა შემოწმებითა, გარდმოვიღე". და ამის შემდეგ აქვე ამბობს, რომ ბევრი ვიდე დამრჩა შესატანი [illegible] ლისა ენისაგან [illegible] ამათ ენათა [illegible] რად თქვა [illegible] მელი არა ემოწმნეს არცა მე დავირწმუნე". ეს ორი ერთმანეთის წინააღმდეგი აზრი ვერ გავიგე, ალბად მცოდნეთათვის ადვილი გასაგები იქნება.

ამის შემდეგ ამბობს, რომ „პლატონისა თანამესაყდრესა პროკლეს და იოვანეს დიდთა ფილასოფოსთა" ზოგი სიტყვები „მრთლადა" აქვთ ნახმარი, ზოგი—„მეტად", ზოგი—„ნაკლებ", ზოგი—„შუა გაკვეთილი" და ჩვენც ასე გვაქვსო. მაგ., მრთელი—ახლოს, მეტი—ახლოის, ნაკლები—ახლო, ხოლო განკვეთილი—ახს. მეორე მაგ:. მრთელი—მოვედ, მეტი—მოვედი. ნაკლები—მოდი, განკვეთილი—მო და სხვ.

შემდეგ ამისა, ავტორს დასახელებული აქვს ათი სხვა-და-სხვა ნაირი ნიშანი, დახატული წითელის მელნით და აქვე მათი განმარტებაა. აი, თვით სახელები: „ოქსია", „ვარია", „პერისპომენი", „მაკრა", „ვრაქია", „დანია", „ფსილი", „აპოსტროფი", „ვიპადიასტოლი ვიფან". მერე წითელის მელნით ახალი განყოფილება იწყება ასე: „შეისწავე რა ქვეყნის მზომელობათა ხელოვნებანი არიან ესე ნიშანნი ოთხნი" და აქვე დახატულია ოთხი სხვა-და-სხვა ნაირი ნიშანი შემდეგის სახელებით: „ეპიფანია", „სტილმა", „დრამმა", „სტერეონ". აქვე ამათი ახსნაა.

მეექვსე გვერდზე კიდევ დახატულია თერთმეტი სხვა-დასხვა ნაირი ნიშანი და მათივე ახსნა. ზოგი ნიშნავს მზეს, მთვარეს, ვარსკვლავს, ხეს, ბალახს, მფრინველს, თევზს, ოთხფეხთ, მწერთ, მძრომთ და ბოლოს [illegible] იიან პატარა რკალი, რომელსაც ასე ჰქვია: „სადა ესე ჯდეს სხვათა ენათა ებრაულთა, ქალდეურთა, და ბერძნულთა [illegible] ან არს ქვეყანათა და კაცთა სახელები [illegible] ქართული ენისათვისცა სახმარი, რომელ მათი თარგმანი თანვე უწერია". ყველა ეს ზემოხსენებული ნიშანი შეგხვდება ლექსიკონში და მათი ახსნა—განმარტებაა. ამავე ლექსიკონში ძალიან ხშირად შეხვდებით ქართულად სიტყვებს [illegible] ა იმას თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები [illegible] სომხურად, თათრულად და ხან ბერძნულად.

ამით თავდება განმარტება [illegible] წინასიტყვაობა ლექსიკონისა და ბოლოს სწერია: „ქრისტე შეიწყალე ცოდვილი ზოსიმე ბერი ძე ორბელისა". ეტყობა, ეს ამ ლექსიკონის გადამწერის სახელია.*)

ამის შემდეგ მეშვიდე გვერდიდან იწყება რიგზედ ლექსიკონი, რომელიც დაახლოვებით 8000 სიტყვაზე მეტს შეიცავს.

ბოლოს, სულ ცალკე გვერდზე, ერთნაირისავე ხელით ლექსად წერია:

ამ ლექსიკონის რიგები, თუ ბრძენმა დამიწუნო-თ-ა
ჩემ დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენთანას დასაწუნო-თ-ა
ეს რა შევკრიბე მიქებდენ, მაშინ აწ დასამგუნო-თ-ა
და კურდღლის გამდევს ჯორჯს ძაღლსა არ სდებენ საძაბუნო-თ-ა.

**ზ. ი. ჩიქვაძე.**

*) ეს ლექსიკონი გადავეცი ბ-ნ ე. ს. თაყაიშვილს.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, ქართულ თეატრში დრამატიულმა დასმა წარმოადგინა გადმოკეთებულ პიესა „სალხინო".

**დრამატიულ საზოგადოების გამგეობის დაუდევრობა.** ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლის გამგე კომისიაში, წარმომადგენელი, სხვათა შორის, უნდა ჰყავდეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებასაც. აგერ სამი წელიწადია, ქალაქის გამგეობა ემუდარება ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელიო, მაგრამ გამგეობა ყურადღებას არ აქცევს. მხოლოდ ქართულ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რომ უფლებას არავითარი ფასი არ დასდონ, თორემ სხვაგან არსად არ გაგონილა დაუდევრობა. ქალაქის გამგეობისა და სახალხო სახლის გამგე-კომისიის შეერთებულ სხდომაზე კიდევ შეეხნენ ამ საკითხს და დაადგინეს, სთხოვონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, ისარგებლოს უფლებით და გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. გუშინ ჩვენსა და სხვა გაზეთებში დაბეჭდილი იყო: დრამატიულმა საზოგადოებამ სთხოვა სახალხო სახლის გამგე კომისიას, ის დღეები სახალხო სახლში, რომელიც ჩვენა გვაქვს, აღარავის

---

ერებს. შეუძლებელია ერთი და იგივე სამართალი შეიმუშაოს კავკასიის წარმომადგენელთა კრებამ, ისეთი დიდი განსხვავებაა მათ შორის ზნეჩვეულებათა, წესთა და ადათთა, შარიატისა და ქართულ ან სომხურ სამართალთა შორის. საერთო დამფუძნებელი კრება ან საერთო პარლამენტი იძულებული იქნება ათასნაირ კანონთა კრებული მისცეს სამართლის ყოველ დარგში კავკასიის სხვა და სხვა ერს და სოციალურ ჯგუფს, რომ თითოეული მათგანი დაკმაყოფილდეს, ან და საერთო კანონები ძალით უნდა **მოახვიოს** თავზე, რაიცა თავისუფალ კრებას არ შეუძლია და არც ისურვებს. აქაც, მაშასადამე, თვით კრებაზე უნდა მივიდეს თითოეული წარმომადგენელი უკვე გარკვეულ სამართლითა და უნდა იგულისხმებოდეს მის ამომრჩეველთა შორის უკვე არსებული იურისპრუდენცია.

ავიღოთ ეკონომიური მხარე სოციალურ ცხოვრებისა. აქაც დიდ განსხვავებასა ნახავთ. ჯერ ერთი—ეკონომიური ცხოვრება ძლიერ არის დამოკიდებული ხალხის ზნე-ჩვეულებაზე და არსებულ იურიდიულ ან კონვენციონალურ ნორმებზე, და თუ ამ უკანასკნელ სოციალურ მოვლენათა შორის არის განსხვავება, მაშასადამე, ეკონომიურ ცხოვრების სხვა და სხვაობაც იქნება. ვინ არ იცის, რა განწყობილებაში არიან ურთი-ერთ შორის შარიატი და წესი და ადათი ერთის მხრით და მიწის მფლობელობა მეორეს მხრით. მეორე—ფინანსიურ საკითხებში კავკასიის დამფუძნებელი კრება ან პარლამენტი ისეთ წინააღმდეგობას შეჰხვდება თუ გინდა იმ მხრითაც, რომ კავკასიის ერები სრულიად სხვა და სხვა ეკონომიურ განვითარების საფეხურზედა სდგანან, რომ მისი მოქმედება შეუძლებელი იქნება. დასთანხმდება სომხის კაპიტალი დიდეს-ტანში მიწის კულტურისა ან განათლების ასაყვავებლად მილიონები ხარჯოს? გუშინაც კი ბატონი ხატისოვი გაიძახოდა—ტფილისის ქალაქს ტფილისის მაზრისაც არა მართებს-რაო, არა თუ მთელი კავკასიისაო, ვყიდით, ვყიდულობთ, ფულს ვიღებთ, ფულს ვაძლევთ,—ქვით, მორჩა და გათავდაო, და მომავალი საერთო ფინანსები კავკასიისა, საერთო ბიუჯეტი შესაძლებელია? თანასწორი განაწილება სხვა და სხვა კუთხისთვის ხარჯისა საკითხს ვერ გადასწყვეტს, რადგან ჩვენში ძლიერ მდიდარი მხარეებიცაა და უკიდურესად ღარიბიცა. აგრეთვე ვინ დასთანხმდება შემოსავლის დაგვარად გადასახადების გაწერას? რომელი სომეხი ან თათარი გაიღებს თავის ჯიბიდან ფულს ქართველის საკეთილდ? თუ ფინანსები ერთობის თვითეულ წევრს საკუთარი სახელმწიფო ფუნქცია იქნება? მაშინ ვეკვობ, რომ ერთი უმთავრეს ძაფთაგანი საერთო ცხოვრებისა გაწყვეტილი არ იქმნას.

საერთო ბიუჯეტი კავკასიისათვის, თუმცა ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არა, მაგრამ ძლიერ ბევრ საქმეთა გასაკეთებლად აუცილებელია, რადგანაც ჩვენში ბევრია ისეთი მხარე, რომლის პროგრესსი შეუძლებელია, თუ საერთო მთავრობამ დიდი ხარჯი არ გასწია ამ საქმისათვის. და თუ ავტონომიები ეროვნებათა მიხედვით იქმნენ შედგენილნი, რასაკვირველია, ერთი ერი ძლიერ უგულოდ დასთანხმდება სხვა ერისათვის თავის სიმდიდრის განაწილებას.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ ჩვენში არსებულ სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფს თავისი განსაზღვრული ტერრიტორია ჰქონდეს. ტერრიტორიის დაქუცმაცება, სხვა და სხვა ელემენტების არევა,—აი რა უშლის ხელს უმთავრესად ჩვენს ერთობას. ერთს ოჯახში რომ სრულიად სხვა და სხვა ხასიათის ხალხი შეიკრიბება და ყველა აცხადებს თავის უფლებასა და უპირატესობას,—სწორედ ისეა კავკასიის საქმე. ყველა ერს რომ ჰქონდეს თავისი განსაზღვრული ტერრიტორია და მაზე ჰქონდეს აშენებული თავისი სოციალური ცხოვრება, თავისი სოციალური ერთობა, რასაკვირველია, მაშინ ყველა ამ სოციალურ ერთეულთა სოლიდარობა ადვილი საქმე იქნებოდა, მალე მოეწყობოდა, თუ სხვა პირობები ხელს შეუწყობდნენ. მაგრამ, ხომ იცი, მკითხველო, როგორი სიამაყით გიცქერის ადამიანი, რომელსაც თავის ბინა აქვს, სახლ-კარი, ოჯახი. ისიც ხომ იცი, როგორ უბედურად გამოიყურება უსახლ-კარო, რომელიც სასოწარკვეთილებას ეძლევა, თუ ვერ ჰპოვებს თავ-შესაფარს, ან იბრძვის უკანასკნელ წუთამდე მის მოსაპოვებლად. ერიც ასეთსავე სულის-კვეთებას განიცდის, განსაკუთრებით ის ერი, რომელსაც ჰქონია ერთ დროს დიდი ტერრიტორია, ეხლა კი აღარა აქვს. მართლაც, რომ გვითხრას უცხოელმა, მაჩვენე გეოგრაფიულ რუქაზე, სად არის შენი სამშობლოო, და ვერ უჩვენო, ან მოატყუო და შენ თვითონა გრძნობდე, რომ ატყუებ, ან ჰხედავ, რომ ტყუილს მიგიხვდა და ზრდილობით არაფერს გეუბნება,—ამაზე მეტი სირცხვილი და ტანჯვა იქნება ქვეყანაზე? ასეთი ერები არიან კავკასიაში,—ჩვენც ასეთი გავხდებით, თუ ჭკვაზე არ მოვედით,—და ეს გარემოება გვიშლის ერთობას, რადგან ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ბრძოლა ტერრიტორიისათვის, ბრძოლა, რომელიც მტრობასა და სისხლის ღვრას იწვევს ჩვენს შორის. ვინ იცის, რითი გათავდება ეს ბრძოლა, ჯერ კი იგი პირდაპირ ღვთის წყრომაა კავკასიისათვის. იგი რომ არ იყოს, საკითხი ჩვენის სოლიდარობისა, ფედერაციისა და სხვა თეორიულად მაინც აქამდის ათასჯერ იქნებოდა გადაწყვეტილი ნათლად, მკაფიოდ, ყველასათვის თვალსაჩინოდ.

ყოველ კონფედერაციაში ან ფედერაციაშიაც კი უსათუოდ მოკავშირე ერთეულთა **საზღვრები** უნდა იყოს აღნიშნული. ეს აუცილებელია. ეს პირველი და უმთავრესი **უფლებაა** ყოველ ერთეულისა. კავკასიაში როგორი საზღვრები უნდა აღვნიშნოთ ერევნის გუბერნიაში, განჯის გუბერნიაში, ყარსის ოლქში, ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში, ახალქალაქის მაზრაში? ვინ, რა ერთეული უნდა შედიოდეს აქ კავკასიის ფედერაციაში? სხვისთვის არ ვიცი და ჩემთვის კი დიდი საკითხია.

ამ გვარად, ჩემის ფიქრით, იქ, სადაც სოციალური ერთობა არ არის, ე. ი. ერთობა ენისა, სჯულისა, ზნეჩვეულებათა, ისტორიისა, ეკონომიურ ცხოვრებისა, არ არის კულტურულ განვითარების ხარისხის თანასწორობა, არ არის აგრეთვე განსაზღვრული ტერრიტორიები სხვა და სხვა საზოგადოებრივ სხეულთათვის,—არ არის სოციალური ერთობა, ანუ იგი ფრიად და ფრიად სუსტია და არა თუ ნამდვილი ეროვნული ერთობის განმტკიცება არ შეიძლება ამ სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის, არამედ მათ შორის ფედერატიულ კავშირის, სოლიდარობის განმტკიცებაც ძნელია, თუმცა არც იმას ვიტყვით, რომ სრულიად შეუძლებელი იყოს ასეთი სოლიდარობა.

ხშირად მომავალს კავკასიის ფედერაციას შვეიცარიისა, შეერთებულ შტატებისა, კანადისა, ავსტრალიისა და სხვა ფედერაციებსა და კონფედერაციებს ადარებენ. აგრეთვე ავსტრო-ჰუნგრეთის არეულ-დარეულობასაც ამსგავსებენ ჩვენს მდგომარეობას. მაგრამ ისტორია ზემოხსენებულ ფედერაციათა და კონფედერაციათა შედგენისა, აგრეთვე ისტორია ავსტრიის ერთა ურთიერთ განწყობილებისა სულ სხვაა, იგი ბევრად განსხვავდება ჩვენის ისტორიისაგან. ეს შედარება ყოველ შემთხვევაში ძლიერ საინტერესოა, იგი შეიძლება ცალკე მსჯელობის საგნად გავიხადოთ როდისმე.

**ალაროდიელი**

(შემდეგი იქნება)

მისცეთ, რადგან ჩვენ თვითონ გვინდა ვისარგებლოთო (ამ დღეებით ეხლა სახალხო წარმოდგენების სექცია სარგებლობს). როგორც დრამატიულ საზოგადოებაში გადმოგვცეს, ეს ცნობა მართალი არა ყოფილა. დრამატიულ საზოგადოებას უცნობებია კომიისათვის, იმ შემთხვევაში, თუ სახალხო წარმოდგენების მმართველნი არ ისარგებლებენ ხსენებულ დღეებით, ეს დღეები არავის მისცეთ, ჩვენ თვითონ დაგვჭირდებაო.

## უცხოეთი

**საბერძნეთის მდგომარეობა.**

ამას წინად გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, რომ სამხედრო კავშირი დაიშლებაო. დეპეშათა სააგენტომ შეგვატყობინა, აფიცრების უმრავლესობა წინააღმდეგია კავშირისა და თხოულობს ტიპალდოსის მიმხრე აფიცრების დათხოვნასაო. ეხლა გაზეთები გადმოგვცემენ, რომ კავშირის ლიკვიდაცია არ არის მოსალოდნელიო. კავშირი დარჩება ისევ და თვალყურს ადევნებს მთავრობის მოქმედებას, განახორციელებს ის საჭირო რეფორმებს თუ არა. მაგრამ მარტო ამიტომ არ დარჩება სამხედრო კავშირი. შესაძლებელია პარლამენტი დაითხოვონ. დეპუტატებს დიდი გავლენა აქვთ ადგილობრივ და ხალხში დაბრუნების დროს ისინი ძლიერ აგიტაციას გასწევენ კავშირის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ახალ კანონებს ცუდად შეხვდებიან ადგილობრივ, დათხოვნილ დეპუტატებს შეუძლიანთ ცეცხლზე ნავთი დაასხან, უკმაყოფილება კავშირის წინააღმდეგ გააღრმავონ. ამ შემთხვევაში სამხედრო კავშირს ენერგიული ზომების მიღება დასჭირდება. როგორც წინადაც სწერდნენ გაზეთები დღესაც ეხლაც იმეორებენ, რომ მთავრობამ თუ სერიოზული ზომები არ მიიღო ტიპალდოსის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარში ტიპალდოსს ბევრი თანამგრძნობები ჰყავსო. საგამომძიებლო კომისიამ გამოარკვია მოწმეების გამოკითხვით, რომ მეამბოხეებს რაღაც ჰქონიათ კაბინეტი გამოეცვალათ და ნაცვლად მავრომიხალისისა, რომელმაც მოლოდინი გაამართლა პოლკოვნიკი ზორბსი დაენიშნათ. ახალ კაბინეტში შევიდოდნენ ფელტიკისა და რალისის პარტიის ორ-ორი წევრი. დანარჩენი ადგილები აფიცრებს შორის უნდა გაენაწილებინათ. ზორბასი არ დასთანხმებულა ტიპალდოსის ამ წინადადებაზე. მაშინ ტიპალდოსმა გამოაცხადა, რომ საბერძნეთს არა ეშველება რა, თუ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე არ დაისჯება ან საპატიმროში არ იქმნა დაპატიმრებულიო. ორი დღის შემდეგ ტიპალდოსი კიდევ მივიდა ზორბსთან და მოსთხოვა 30 უფროს აფიცრის დათხოვნა. ზორბსმა კიდევ უარით უპასუხა. ამის შემდეგ ტიპალდოსის გეგმა შეიცვალა. ამან განიზრახა აჯანყება მოეხდინა ფლოტზე და აეძულებინა მთავრობა გადამდგარიყო. საჭირო იყო ჯავშნიანი გემები მიემხრო თავის მხარეზე. ტიპალდოსის გემები მიუახლოვდნენ ჯავშნიან გემებს. ესენი მთავრობის მხარეზე იყვნენ და სროლა დაუწყეს ტიპალდოსის გემებს. საგამომძიებლო კომისია ისე ამოწმებს, რომ სროლა ჯერ მთავრობის ჯავშნიანმა გემებმა ასტეხაო. კომისიას მიდგომილობას სწამებენ. ტიპალდოსს აქაც თავისი მომხრენი ჰყავსო, სწერენ გაზეთები.

**იტალიისა და გერმანიის კავშირი.**

იტალიასა და გერმანიას შორის ვერ არის მჭიდრო კავშირი. „ბერლინ. ტაგებლატ"-ში ამის გამო დაბეჭდილია წერილი იტალიის მინისტრად ნამყოფი ბაჩელლისა, რომელიც ამტკიცებს რომ რუსეთ-იტალიის კავშირი სრულებით ხელს არ უშლის იტალია-გერმანიის დაახლოვებას, რადგანაც ამ ორ სახელმწიფოს კულტურულსა და ეკონომიურ ცხოვრებაში ბევრი აქვთ საერთო. ბაჩელლი რჩევას იძლევა დაარსდეს საგანგებო კომიტეტი, სადაც უნდა შედიოდნენ ამ ორ სახელმწიფოთა დაახლოვების მოტრფიალე კერძო პირები. კომიტეტს შეუძლიან ნაყოფიერად იმუშაოს და დაახლოვება აუცილებელ ჰყოს.

**ავსტრიის მემკვიდრის მოგზაურობა გერმანიაში.**

ამ დღეებში ავსტრიის ტახტის მემკვიდრე გერმანიაში წავიდა. მემკვიდრის მოგზაურობას პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერენ. გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი" ამბობს, რომ გერმანიისა და ავსტრიის სამეფო გვარეულობის დაახლოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვისაო. ამასთან გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთ-იტალიის კავშირი დიდად საზარალო არ იქნება იტალიისთვისაო. სამთა კავშირი კიდეც რომ დაიფუშოს, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ახალი კავშირი დაარსდება, რომელიც გერმანიის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართულიო. ყოველ შემთხვევაში უნდა ახსოვდეს ყველას, რომ ბერლინიდან პეტერბურგამდე უფრო პატარა მანძილია, ვიდრე პეტერბურგიდან რომამდეო. ე. ი. თუ საჭიროება იქნება გერმანია-რუსეთის კავშირიც შესაძლებელი არისო. რაც უნდა იყოს, გერმანიასა და ავსტრიას შორის მტკიცე კავშირია, რომელიც არ შეუდრკება სახელმწიფოთა სხვაგვარ შეჯგუფებას. ამ კავშირმა უკვე დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა ბოსნიის საკითხში. ავსტრიის მემკვიდრის ბერლინში მოსვლაც ამტკიცებს, რომ ავსტრია-გერმანიის კავშირი შეურყეველი არისო.

## ჩემი პასუხი

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული*)

ბოლოს, როგორც იყო, 1 ივლისს ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს ვრცლად ანგარიში სააგადმყოფოს რევიზიისა, სადაც განმარტა, რომ რევიზიის მიერ მოპოვებული საბუთები ბერეჟიანისა და ხომერიკის წინააღმდეგ შეურყეველნი არიან და ამის გამო ისინი უკვე დავითხოვეთო. ხმოსან კრინიცკიმაც კვერი დაუკრა მას და აღიარა ისინი კატორღისათვის გამზადებულთ. მხოლოდ ხმ. საბახტარაშვილმა მოითხოვა წაეკითხა ხომერიკის პასუხისა რაც ქალაქის თავმა არ შეიწყნარა (ეს უკანასკნელი გაზეთში არ იყო დაბეჭდილი). ამ წინადადების შემდეგ სიტყვა ხვდა ჟურულს და დაიწყო. უწინარეს ყოვლისა შემეხო მე, თუმცა კი ხმოსნებს აძლევდა ანგარიშს. მან განმარტა, რომ მე, ვითარცა რედაქტორმა, დანიშნულებას უღალატე მით, რომ მამას ვიცავდი და მას კი დანძღვა-გინებით ვიხსენიებდი. ადგილობრივმა პრესამ დასძინა მან, უწმინდესი და უმაღლესი თავისი პრინციპები (იგულისხმე მიუდგომლობა) ტალახში ამოსვარაო და სხვა და სხ. ყოველივე ნაწილი ამ ვრცელ სიტყვისა სიმართლეს მოკლებულია. პირველი, მან კარგად იცოდა ჩემი რედაქტორების ამბავი. არ სცოდნოდა არ შეიძლებოდა, რადგან თავისი თავი ქართველ მოღვაწედ მოაქვს ბათომში. აქ კი ქართველებს ორი ადგილი აქვთ—ქალაქის საბჭო და რედაქცია. მე ვამტკიცებ, რომ იცოდა და თუ ასე სთქვა, მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ გადაღებული მისი სურათი დაემალა და თან საკუთარი „ფავორიტიც" დაეფარა, მეორეც ის, რომ პრესის პრინციპების ტალახში ამოსვრაზე კრინტის დაძვრა არ შეიძლებოდა, ვინაიდან ნათლად იყო ნათქვამი, სხვათა შორის, ერთ-ერთ ფელეტონში, რომ „ქურდმა ქურდს კეტი მოჰპარაო, ქალაქის საბჭომ ეს კეტი შესანახავად მესამე პირს გადასცა, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა მისი მოპარვისაო. მოკლედ რომ ვსთქვათ სამივეს პანღური ესაჭიროებაო", ე. ი. მამაჩემს, ხომერიკს და გამყრელიძეს. გ. ჟურული მაინც მაღალ პრინციპებზე ლაპარაკობს. ამის შემდეგ რა გასაკვირი—იყო, თუ მესამე დღეს გაზეთმა მთელი ორი წერილი უძღვნა ბ-ნ ჟურულის სიტყვას. არას ვიტყვი ალიბეის უხამსო ფელეტონზე, მივაქცევ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამ დღემდის მთელი ორი თვე სტუდენტი ნიკოლი გახუმებული იყო და ერთი კრინტიც არ დაუძრავს ამ საქმის გამო. მხოლოდ ამ უკანასკნელ სიტყვით მოთმინებიდან გამოსულმა პირველად უძღვნა გ. ჟურულს წერილი, სადაც აღნიშნა რა ძველი ამბავი ჟურულის „სამშობლო პრესის ჯალათობისა", შეეკითხა—სად და როდის უღალატა პრინციპს და ტალახში ამოსვარეთო. იძულებული შევიქენი მეც მიმემართა დის წერილით ბ-ნ ჟურულისათვის, რომლითაც ვთხოვდი, დაესახელებინა ერთი მომენტი მაინც ჩემი ღალატის რედაქტორებად დანიშნულებისთვის. როგორც თქვენ არ გაგცათ პასუხი, ბ-ნო რედაქტორო, ისე გ. ჟურულს არ უცვია პასუხი ჩემთვის. პასუხი რა საჭირო იყო მაშინ ან დღეს, როცა კარგად არის დარწმუნებული და კიდევაც მისი რწმენა გამართლდა, რომ მას ისედაც დაუჯერებს.

ამ უკანასკნელ წერილებით დამთავრდა პირველი ხანა ადგილობრივ გაზეთის და ქალაქის საბჭოს დამოკიდებულების გამწვავებისა; დასასრულ ყოველივე ამისა, მთავარი მოქმედი პირი ამ კომპანიისა ალიბეიც გაქრა ბათუმიდან.

ამავე დროს ბათუმში მოხსნეს სამხედრო წესები და მუდმივი მთავარი თანამშრომელი გაზეთისა ისევ ბათომს დაბრუნდა. ამ უკანასკნელმა აღძრა ხელ-ახლა ქართველებთან მოლაპარაკება გაზეთის გამოცემის შესახებ. შეთანხმების შემდეგ გაზეთი ჩვეულებრივად გამოდიოდა. მე კი ამ დროს საგარაკოდ წაველი ბახმაროზე, იქიდან დაბრუნების შემდეგ გურიაში დავრჩი სამუშაოდ. დღემდის იქ ვიყავ. ამ ბოლო ხანებში გაზეთი დაჯარიმებული იქნა და მეც გიახელი ბათომს, სადაც ხელ მეორედ გამწვავება დამხვდა გაზეთსა და ქალაქის თვით-მმართველობის შორის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მეორე ხანაში გაზეთი უმეტესად ეხება ქალაქის თავს თავ. ანდრონიკაშვილს და გამგეობის წევრს ბ-ნ სახნოვსკის. ამ უკანასკნელ გარემოების მიზეზს ალბად თვით ბ-ნი სტაროჟილი, წერილების ავტორი, განმარტავს. არ ვიტყვი, რომ ბ-ნ სტაროჟილის ყველა ნაწერი ქალაქის თვით-მმართველობაზე, განსაკუთრებით კი ქალაქის თავზე, მიუდგომელი და საბუთიანი იყოს. ყოველ შემთხვევაში მე იმისს დაცვას არა ვკისრულობ, რადგან ის ჩემზე უკეთ მოახერხებს ამას, მხოლოდ მე მინდა ურჩიო ორივე მხარეს ერთად მოილაპარაკონ და საქმე გამოარკვიონ, თორემ ბოლოს გვიან იქნება წუწუნი.

მე ისევ პირველ ხანას დავუბრუნდები. სხვათა შორის ზემორე ნახსენებ ნარკვევში მეკითხებოდით, თუ რა მიზეზია რომ წინად „ბატ. იზვ." გაზეთი ჟურულს და ანდრონიკაშვილს უბრალო კრიტიკასაც არიდებდა, ეხლა კი გაზეთის სიტყვით, მათგვარი ბოროტებით აღსავსე კაცი არსად აღარ მოიპოვებაო. ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემ წერილის შემდეგ მაგვარის კითხვით მე აღარ მომმართავთ, ვინაიდან არა თუ წინანდელ გაზეთის პასუხის მგებლობა, არამედ ეგრედ წოდებულ „ჩემი გაზეთის" დანაშაულობასაც საზოგადოების წინაშე ვერ ვიკისრებ, თუ ის მართლაც დამნაშავეა ვინმესთან; მხოლოდ მე მაინც ვეცდები განვმარტო, რამ დაბადა ის გარემოება, რომ დღეს ქართველები ერთმანეთს შეჭსვდიან.

პირველი—წინად გაზეთს პატრონი ჰყავდა, ბოლო ხანებში კი, განსაკუთრებით გაზეთის დახურვის შემდეგ, მას პატრონი დაეკარგა. ადგილობრივმა ინტელიგენციამ ეს ამბავი არაფრად მიიჩნია, რადგან ყველა დარწმუნებული იყო ამ გაზეთის წარსულით, რომ გაზეთის პატრონობისათვის მათ სასყიდელს არავინ მისცემდა. უპატრონო გაზეთს დაეპატრონა ვიღაც ალიბეი, რომლის ამბავი ქართველობამ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა გიორგი ჟურულის სურათი დაახლოვებით სინამდვილით დახატა. მხოლოდ მაშინ მორთეს ყვირილი, მაგრამ გვიან იყო. მეორე—თუმცა ყველასათვის აშკარა იყო, რომ ალიბეის ნაწერების ავტორი თვით ალიბეი იყო, მაგრამ ჟურულმა თვისი მომხრეებით მაინც განზე იწყო ძებნა ამ წერილების ავტორებისა. ამ ძებნაში ნათლად გამოსჭვიოდა სურვილი, მოეძებნათ „საპატიო" მოწინააღმდეგე, ვინაიდან ბრძოლა ხომერიკთან, ალიბეისთან და, თუ გნებავთ, მამაჩემთანაც, მათის აზრით, ხელს არ მისცემდათ, კიდეც ჟურულმა და მისმა მომხრეებმა ჯერ ს. მდივანს სტაცეს ხელი, შენა ხარ დასაბამი ყოველივე უბედურებისა; ალიბეი ვერ გაბედავდა ამას, შენ გარეშე ნაკურთხი რომ არ იყოსო; შემდეგ კი ვ. ნაკაშიძეს, კიდევ შემდეგ ქიქოძეს, იგ. მესხს და სხ. ყოველისავე ამას სჩადიოდნენ, მე ვამტკიცებ, გ. ჟურული და მისი მომხრეები მათი მოქმედებით წინააღმდეგობას იწვევდა უბრალოდ გაბურთლებულთა მხრივ და ამით კი მათ შორის ჟანი და გაუგებრობა ძლიერდებოდა. საერთო მოქმედების ნიადაგი იკარგებოდა, გაზეთის დაკეტვა არ შეიძლებოდა, რადგან მუშების მშიერი დატოვება მოუხერხებელი შეიქნა, ყოველ შემთხვევაში ისინი ამის ნებას არ მისცემდნენ.

მესამე—ამ არევ-დარევით ისარგებლა ალიბეიმ და საქმის გასამწვავებლად ერთს ფელეტონში ბ-ნ ჟურულს ჯაშუში უწოდა, ანდრო დეკანოზოვსაც წვდა, ს. ჯაფარიძესაც უთავაზა ორიოდე სტრიქონი და ამით საშინელი აღიაქოთი ასტეხა. საქმე კინაღამ დუელამდე მივიდა ჟურულს და ალიბეის შორის.**)

მეოთხე—თვით საავადმყოფო რევიზიასაც ჰქონდა მნიშვნელობა, გაზეთი ამტკიცებდა, რომ ხომერიკის და ბერეჟიანს უკან მაიყოლეთ უეჭველად გამყრელიძეც, რადგან „ქურდების" დაჭერა მხოლოდ მაშინ შესძლო, როცა მას წილი არ მისცესო. ეს აზრი გულს დახვრად ხვდა გ. ჟურულს და ძმათა მისთა. ამის გამო შეტაკებაც მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომაზე კ. ჟურულს და საბახტარაშვილს შორის. ამ უკანასკნელმა მოითხოვა ხომერიკის მოხსენების წაკითხვა, რითაც უნდოდა ბ-ნ გამყრელიძის მიერ მირთმეული ასი მანეთის საკითხი აღეძრა. ეს საკმარისი იყო, რომ გ. ჟურულს ყოველივე მოთმინება დაჰკარგოდა და მთელი ხმოსნების ჯგუფი ბ-ნ საბახტარაშვილიდან დაწყებული ავად მოეხსენებინა. მეხუთე და უკანასკნელი გახლავთ, საზოგადოდ ქართველური ჭორიკანობა, უპრინციპობა და უგულწრფელობა-ინტრიგანობა. — განსაკუთრებით აქ ბათომში ამ თვისებებს ისტორიულად რამდენიმე მძლავრი წარმომადგენელი ჰყავს. მათი დასახელება საჭირო არ არის.

აი, ჩვენის აზრით, ნამდვილი დასაწყისი იმ აშლა-დარევისა, რომლის წყალობითაც „ვაით და ვუით" გაკეთებული საქმე ინგრევა. აქ ალიბეი ნიკოლი-სტაროჟილი და ჩემი რედაქტორობა უმნიშვნელო და სუსტი ფაქტორებია ბათუმის ქართველთა მძიმე სენით დაავადმყოფებულ ცხოვრებისა.

გაზეთ „ბატ. იზვ."-ს რედაქტორ-გამომცემელი **ვ. ბერეჟიანი.**

*) იხ. «დროება» N 247.

## წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! საზოგადოების საყურადღებოდ გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენი პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში.

ყველამ იცის, რომ ერევნის მოედანზე ბიჭ-ბუჭების მთელი ჯგუფი არალეგალურად ხელმეორედ ჰყიდდა გადასაჯდომ ბილეთებს. ზოგიერთი მგზავრიც მხარს უჭერდა ამ ბოროტ-მოქმედებას იმით, რომ პირდაპირ ბილეთის მაგიერ ართმევდა კონდუქტორს გადასაჯდომს და მერე ერევნის მოედანზე ამ გადასაჯდომ ბილეთს ბიჭებს აძლევდა. ეს უკანასკნელნი ბილეთებს ასაღებდნენ ზოგიერთ მგზავრთა შორის. რომ ბოლო მოეღოს ამ ბოროტმოქმედებას, უსახელო საზოგადოების გამგეობამ პირველ ნოემბრიდან ახალ სისტემის ბილეთები გამოსცა. ამ ბილეთის კონტროლი ადვილია. მაგრამ ამისდა მიუხედავად, რადგან უსახელო საზოგადოებამ მტკიცედ გადასწყვიტა ებრძოლოს ყოველნაირ ბოროტმოქმედებას, დირექცია წინ და წინვე ატყობინებს ყველას, რომ ვისაც ამის შემდეგ აღმოაჩნდება ყალბი ბილეთი, სამართალში იქნება მიცემული, იქვე პოლიციელების საშუალებით შესდგება ოქმი. ამაზე შესაფერი ინსტრუქციები დაეგზავნა კონტროლიორებსა და ტრამვაის კონდუქტორებს.

პატივისცემით ტფ. ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორი **მ. ბატაშლი.**

*) შენიშვნა. 7 ივანობისთვის ნომერში მოთავსებულია ალიბეის ფელეტონი სათაურით „პირბადე ჩამოხდილია". აქ ეხება დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს. ამტკიცებს რა იმ აზრს, რომ დრონი იცვალენო, მაგალითად მოჰყავს, სხვათა შორის, შემდეგი: „ერთ დროს ცენზორი. სამშობლო პრესის ჯალათამჭუთავი, შემდეგ ქალაქის ახალგაზდა მოღვაწეთ ქვეული, დღეს ისევ თავის ხელობას უბრუნდებაო და „დანდსებს" სწერს პრესაზედ". აქ ალიბეი გულისხმობს „Нов. вр." კორესპონდენტის ზატერიანის ყალბ ცნობებს, რომლის შესახებ ქალაქის საბჭომ ქაღალდი გაუგზავნა ადგილობრივ გუბერნატორს, რომელმიაც თხოულობდა დაეფარა (оградить) ზატერიანის ცილის წამებისაგან ქალაქის საბჭო. ავტორი.

თქვენი გაზეთის „დროების" მე-245 ნომერში ბ-ნ მაზრელის წერილია მოთავსებული. ბ-ნ მაზრელს შემთხვევით ოქტომბერში გაუვლია წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის „მახლობლად". „ჩვეულებისამებრ" უკითხავს ამბავი, მაგრამ ჩვეულებისამებრ გოდებს სკოლის შესახებ. ბ-ნ მაზრელს რომ ჩვეულებისამებრ მახლობლად არ გაევლო და შიგნიდან დაეთვალიერებინა, სულ სხვა იქნებოდა. მე სწორედ გუშინწინ დავათვალიერე ის სკოლა, სადაც აღვიზარდე. ორი დღე-ღამე დავრჩი და გული არ გამტეხია, პირ იქით დიდი წარმატებაა: ხალხს სწავლის სურვილი ძლიერ გაღვიძებია, მოსწავლენი „კარზე არ არიან" დღე-ღამე, ყველა დაბინავებულია. მართალია, პანსიონი გაუქმებულია, მაგრამ სოფლებში სცხოვრობენ და სკოლის გამგეც მათ არსად არ ერეკება. მასწავლებელი ერთი (და არა ორი) დასთხოვია, მაგრამ ახლებს იწვევენ და, როგორც დაბეჯითებით ვიცით, ამ დღეებში ყველაფერი წესრიგზე იქნება სასიხარულოდ ადგილობრივ მცხოვრებთა. პირველი განყოფილება გაიხსნება და მასწავლებლად მოწვეულია გამოცდილი მასწავლებელი არ. წითლიძე. შეგიძლიანთ, ბ-ნო მაზრელო, დამშვიდებული იყოთ, წინამძღვრიანთ-კარის სკოლა მტრის გულს არ გაახარებს და კვლავ მედგრად განაგრძობს ხალხის სამსახურს...

ყოფილი მოწაფე.


## განცხადებანი

**ქორწილი და ჭიდაობა**

დ. ძველი სენაკი, ხოფ. სორტას სამშაბათს, 10 ნოემბერს, 1909 წელსა, მე სამსონ მათეს ძე ლეჟავას მომყავს ჩემ საყვარელ შვილის არტემისათვის მეუღლე, აზნ. მ. ესტატე საჯაიას ასული. დანიშნულ დღისათვის მოწვეულნი მყავან საპატიო პირები, ჩემი ნაცნობნი და ნათესავნი. აგრეთვე ამავე ქორწილის დროს გაიმართება ორი წყვილი საინტერესო ქართული ჭიდაობა. ამ ჭიდაობას განაგებს ცნობილი ფალავანი ნ. ესებუა. საუკეთესო დაფა-ზურნით. ფალავნებისთვის საჩუქრებია დანიშნული, რაისთვის უმორჩილესად ვთხოვ ჩემ მიერ მოწვეულებს მობრძანდნენ და იზიარულონ და ამხიარულონ ოჯახი ჩემი.

პატივისცემით **ხ. მ. ლეჟავა.**

კირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1883 წელს.

(ვორონცოვის ქუჩის ბოლოს)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. პეტროსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1}/_{4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1}/_{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—211)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—2)

[illegible]

**7 მან. და 25 კაპ.**

**ორი კასტიუმი**

**ქალისა და კაცისა**

ორი ზამთრის ან გაზაფხულის საკასტიუმო ნაჭერი, კაცისა და ქალისა, ეგზავნება მსურველს ფოსტით 7 მან. 25 კაპეიკად. გაგზავნა უფასოა (ციმბირში ემატება 85 კ.). ვისაც არ მოეწონება, ფაბრიკა უკან უბრუნებს ფულს. ნაჭერი კაცის კასტიუმისთვის $4^{1}/_{4}$ არშ. ინგლისური ტრიკო, მკვიდრივე მატყლისა, ორარშინიან განისა, ახალი ნახატით და 8 არშინიანი ტრიკო „არკადია" მატყლისა, მოდის—ქალის ტანისამოსისათვის. ორივე ნაჭერი ყოველ გვარ ფერისა. ფასდადებით გაგზავნის დროს ემატება 16 კ. (ფოსტ. ტაქსა) სურვილისამებრ იმავე ფასით შეიძლება გაიგზავნოს ორივე კასტიუმი კაცისა ან ქალისა. ადრესი Фабриканту М. Бернштейну, гор. Лодзь. И.

(Л. Метцль и К° N 67969) (3—6—3)




**ალექსანდრე როსტომისძე თაბაგარის**

**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—88)